ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის 2025 წლის 29 იანვრის

ოქმი #1

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. დოქტორანტების სადოქტორო თემების სათაურისა და ხელმძღვანელების დამტკიცება
   მომხს. ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი
2. ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონიძის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების ანგარიში
   მომხს: ს. დუნდუა, ფაკულტეტის დეკანი
3. 2025 წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარის დატკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
4. ცვლილება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის დეკანმა, ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად გააცნო დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადოქტორო თემის სათაურების დამტკიცების და დაკორექტირების საკითხი.
აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ, თ. მატარაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს სადისერტაციო თემის სათაურები და ხელმძღვანელები წარმოდგენილი სახით (დანართი თან ერთვის ოქმს).

მოისმინეს 2: ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს გააცნო ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონიძის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების ანგარიში. ა. დიაკონიძეს სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების პერიოდში ვალდებულებად ჰქონდა განსაზღვრული შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელოს მომზადება და მონაწილეობის მიღება ერთ საერთაშორისო კონფერენციაში. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ა. დიაკონიძეს 2024 წლის 1 აგვისტოს დაუსრულდა სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება და შესაბამის ვადაში წარმოადგინა განცხადება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის სახელზე, ასევე, წარმოადგინა შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელო და პორტუგალიის ქალაქ პორტუს უნივერსიტეტში

გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელო, რეცენზირების მიზნით, გადაეცა ორგანიზაციისა და შრომის ფსიქოლოგიის დოქტორს, თეა გველესიანს. მიღებული რეცენზია დადებითია (დოკუმენტაცია დანართის სახით თან ერთვის ოქმს)

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ი. კაჭკაჭიშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ

დაადგინეს: ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება ჩაითვალოს შესრულებულად.

მოისმინეს: 3. თ. დოლბაიამ დამსწრეთ წარუდგინა 2025 წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარის პროექტი

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, ს. დუნდუამ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს 2025 წლის მაგისტრატურის ანკეტა - კითხვარი და განსახილველად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს (დანართი ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 4. თ. დოლბაიამ დამსწრეთ აუწყა, რომ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოზე 2024 წლის 23 დეკემბერს, იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციით, უნდა ჩასწორდეს მუხლი 19.2, რომელიც ეხება სტუდენტთა მიერ პროგრამის მობილობით შეცვლის საკითხს და იკითხება ასე:
„19.2. დოქტორანტის მიერ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით“.

აზრი გამოთქვეს: ს. დუნდუამ, გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 5. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში საბჭოს წარუდგინა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ხ. მაისაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში და განსახილველად გადაეცეს თსუ - ის აკადემიურ საბჭოს (დანართი ოქმს თან ერთვის) .

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ს. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

29 იანვარი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარჯია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ლაშა მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

თინათინ მაჭარაშვილი

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

დანართი 1

დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელების შეცვლა/დამტკიცება:

კულტურის და მედიის სოციოლოგია

- **ანუკი ცაავა** - ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - ლელა გაფრინდაშვილი (მე-7 სემესტრი)
- **ანი ლემონჯავა** - ასოცირებული პროფესორის, ლია წულაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - ლაშა მათიაშვილი (მე-7 სემესტრი)

კონფლიქტოლოგია

- **გერმანე გვარამია** - პროფესორ გუგული მაღრაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე (მე-6 სემესტრი)
- **ნანა გოგიბერიძე** - პროფესორ გუგული მაღრაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნათელა დონაძე (მე-8 სემესტრი)
- **ნინო მანიაშვილი** - პროფესორ გუგული მაღრაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე (მე-6 სემესტრი)
- **ზურაბ ხვიჩია** - პროფესორ გუგული მაღრაძის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე (მე-5 სემესტრი)

სოციოლოგია

- **ბაქარ ლიპარტელიანი** - პროფესორ ამირან ბერძენიშვილის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი კახა ქეცბაია (მე-6 სემესტრი)
- **ირაკლი მეფარიშვილი** - პროფესორ ამირან ბერძენიშვილის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ლაშა მათიაშვილი (მე-9 სემესტრი)

მასობრივი კომუნიკაცია

- **ნიკოლოზი ტაბატაძე** -ასოცირებული პროფესორის, ხათუნა მაისაშვილის ნაცვლად სამეცნიერო ხელმძღვანელად დაუმტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი (მე-9 სემესტრი)

დოქტორანტთა სადისერტაციო ნაშრომის სათაურების კორექტირება

კონფლიქტოლოგია

გერმანე გვარამია - მე-6 სემესტრის დოქტორანტი ითხოვს სადისერტაციო ნაშრომის სათაურის კორექტირებას. სადისერტაციო თემის სათაური: „საგანმანათლებლო სისტემის როლი ტერორიზმის პრევენციაში (საქართველოს მაგალითი)“ - დაკორექტირებული სათაური: „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების როლი ტერორიზმის პრევენციაში (საქართველოს მაგალითი)“; განცხადებას თან ერთვის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ალექსანდრე კუხიანიძის და პროგრამის ხელმძღვანელის გუგული მაღრაძის თანხმობები.

დოქტორანტთა სადისერტაციო ნაშრომის სათაურების და სამეცნიერო ხელმძღვანელების დამტკიცება

- **ორგანიზაციული და პერსონალური განვითარება:**

თამარ მემანიშვილი - I სემესტრი; ,,თანამშრომელთა მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები - სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების შედარებითი ანალიზი.“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე.

ირმა ჩხეიძე - I სემესტრი; ,,ფსიქიატრიული ორგანიზაციების როლი ინდივიდის იდენტობის ფორმირებაში: სიმბოლური ძალადობა საქართველოში''; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე, სამეცნიერო თანახელმძღვანელი - მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრის პროფესორი ნინო ოკრიბელაშვილი.

გახოკიძე მარიამ - I სემესტრი; „დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები კერძო და საჯარო ორგანიზაციებში“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მუსხელიშვილი

- **პოლიტიკის მეცნიერება**

ვლადიმერ გრძელიშვილი - I სემესტრი; „ევროპარტიებში გაერთიანებული ქართული პარტიები: ქართული პოლიტიკური პარტიების ევროპეიზაცია“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ავთანდილ ტუკვაძე.

მარიამი სარალიძე - I სემესტრი; „ახალგაზრდების პროტესტი საქართველოში და მისი ორგანიზაციული ფორმა 2019-2024 წ.წ-ში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია

ნინო გომურაშვილი - I სემესტრი; " სახალხო დიპლომატია და ნდობის აღდგენის პროცესი აფხაზეთის კონფლიქტში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ ქარაია

- **კონფლიქტოლოგია**

ელენე მაღრაძე - I სემესტრი; „დაბრუნებული მიგრანტების კონფლიქტი სოციალურ გარემოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი;

დავით ბერაძე - I სემესტრი; „ჰეზბოლას პოლიტიკური გავლენისა და სამხედრო შესაძლებლობების როლი ისრაელ-არაბული კონფლიქტის ფორმირებაში 1980-იანი წლების შემდეგ“. სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მუსხელიშვილი

ზოია კურტანიძე - I სემესტრი; „სამხედრო ოპერაციების გენდერული ასპექტების ანალიზი საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების მაგალითზე.“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა მატარაძე; სამეცნიერო თანახელმძღვანელი თადარიგის პოლკოვნიკი, ჰაბილიტირებული დოქტორი ზდზისლავ სლივა;

რატი გოკიელი - I სემესტრი; „ძალადობრივი კონფლიქტისა და მშვიდობის მიმართ დამოკიდებულებები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა;

ლაშა ადუაშვილი - I სემესტრი; „თანამედროვე ტექნოლოგიების როლი პოლიტიკური კრიზისების მართვაში, აღმოსავლეთ ევროპის მაგალითზე; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინა მუსხელიშვილი;

- **სოციალური მუშაობა**

მანანა ლაგაზიძე - I სემესტრი; „საქართველოს სოციალური მუშაობის პრაქტიკაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გამოყენების შესაძლებლობები.“ სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ მახარაძე, თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი.

სოფიკო მუშკუდიანი - I სემესტრი; „საქართველოში სოციალურ მუშაკთა სოციალური ადვოკატობის განმაპირობებელი ფაქტორები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი.

- **მასობრივი კომუნიკაცია**

კონსტანტინე გოგინაშვილი - I სემესტრი; „ქართული საბჭოთა კინოკრიტიკა– პროპაგანდისტული და სოციალურ-კულტურული რეფლექსია 80-იანი წლების საკულტო ფილმებზე და მათ პერსონაჟებზე („მშობლიურო ჩემო მიწავ“ და „მონანიება“); სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

მარი მაჭარაშვილი - I სემესტრი; „სოციალური მედია და აქტივიზმი - ჰეშთეგის როლის გაანალიზება თანამედროვე საპროტესტო კულტურაში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი: ხათუნა მაისაშვილი.

ნატალია ჯალაღონია - I სემესტრი; „ციფრული მედიის როლი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი: მაია ტორაძე.

- **საზოგადოებრივი გეოგრაფია**

ზურაბ თევდორაძე - I სემესტრი; : „ტურიზმის სექტორის ტერიტორიული გაფართოება და რეგიონული განვითარების პოტენციალი (იმერეთის მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი: ია იაშვილი

ნიკა გოგატიშვილი - I სემესტრი; „კლიმატის ცვლილების მიმართ ადაპტაციის სოციალური და ეკონომიკური ასპექტები საქართველოში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი: გიორგი კვინიკაძე;

ნიკა ონიაშვილი - I სემესტრი; „მიწის რეფორმა საქართველოში და მისი გავლენა სოფლის მეურნეობაზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე;

მარიამი სოფრომაძე - I სემესტრი; „მდგრადი ტრანსპორტის როლი ქალაქის ურბანულ განვითარებასა და სოციალურ თანასწორობაში (თბილისის მაგალითზე)“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ დოლბაია;

- **სოციოლოგია**

მელანო ბერიძე - I სემესტრი; „საქართველოს საუნივერსიტეტო საზოგადოების სოციალური კაპიტალი, როგორც უმაღლესი განათლების სისტემის ევროპეიზაციის შედეგი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე;

ნანო პაჭკორია - I სემესტრი; „კვლევითი შესაძლებლობების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლეს განათლებაში: ინსტიტუციური მხარდაჭერა და კურიკულუმების ანალიზი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი;

მაგდა რუხაძე - I სემესტრი; „რომანტიკული ურთიერთობების სტაბილურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში, ქართველი ახალგაზრდების მაგალითზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა დიაკონიძე;

ლუკა ლიპარიძე - I სემესტრი; „ბაიკერების სუბკულტურის წევრის სოციალური პროფილის კვლევა საქართველოში“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე;

თეონა თაბუაშვილი - I სემესტრი; „შიდაორგანიზაციული კომუნიკაცია, როგორც ორგანიზაციის მიზნის მიღწევის საშუალება - საქართველოს საჯარო და კერძო უნივერსიტეტების შედარებითი ანალიზი“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა მათიაშვილი;

- **საერთაშორისო ურთიერთობები**

ვახტანგ დავითაშვილი - I სემესტრი; „ჩრდილოეთ კორეის მიმართ აშშ-სა და ჩინეთის პოლიტიკის გავლენა აღმოსავლეთ აზიის რეგიონის სტაბილურობაზე“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე თურმანიძე.

მეგი ბენია - I სემესტრი; „კიბერ-დიპლომატია და ეროვნული კიბერ-მედეგობა: მექანიზმები, გამოწვევები და სტრატეგიული მიდგომები“; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ლაშა საღინაძეს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

05.08.2024

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 29 დეკემბრიდან 2024 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში ვიმყოფებოდი ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში. მოცემული სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების ვადა ამოიწურა და შესაბამისად, დავუბრუნდი ასოცირებული პროფესორის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

პატივისცემით,

ანა დიაკონიძე

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს
თავმჯდომარეს, ასოცირებულ პროფესორ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
ანა დიაკონიძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 29 დეკემბრის (N2290/02-02) ბრძანების შესაბამისად და ჩემს მიერ აღებული ვალდებულებების თანახმად შევქმენი შრომის სოციოლოგიის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო შედგება 9 თავისგან. მისი შექმნის პროცესში გამოყენებული იყო როგორც კლასიკოსი ავტორების ტექსტები, ისე თანამედროვე ავტორები/თეორიები, რომლებიც აღიარებულია მოცემულ სფეროში. რეცენზენტებისგან მიღებული კომენტარების/შენიშვნების შემდეგ მოხარული ვიქნები გავაგრძელო მუშაობა სახელმძღვანელოზე მისთვის საბოლოო სახის მისაცემად.

ასევე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, ჩემი უახლესი სტატია სახელწოდებით „Internalizing precariousness: Experiences of Georgian Platform workers" წარსადგენად მიღებულ იქნა ევროპელ სოციოლოგთა ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც წელს გაიმართება პორტოს უნივერსიტეტში, ქ. პორტო, პორტუგალია 27-30 აგვისტოს. შესაბამისად, ამ პერიოდში მივიღებ მონაწილეობას კონფერენციაში სტატიის წარსადგენად და ახალი სამეცნირო კავშირების დასამყარებლად.

პატივისცემით,

ანა დიაკონიძე
05.08.2024

რეცენზია

თსუ ასოცირებული პროფესორის, ანა დიაკონიძის ნაშრომზე: შრომის სოციოლოგია

რეცენზენტი: თეა გველესიანი, თსუ შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის დოქტორი

„შრომის სოციოლოგია“ წარმოადგენს სახელმძღვანელოს ბაკალავრის დონის სტუდენტებისთვის ამავე სახელწოდების კურსის ფარგლებში. ნაშრომი ცხრა თავისგან შედგება და ასახავს შრომისა და შრომითი ურთიერთობების განვითარებას ლოგიკური თანმიმდევრობით.

პირველი თავი: შრომის ისტორიული ტრანსფორმაცია. ამ ნაწილში ავტორი სხვადასხვა მეცნიერის მიერ განსაზღვრავს ტერმინებს შრომა და შრომის სოციოლოგია, ასევე განმარტავს რა წარმოადგენს ამ დისციპლინის შესწავლის საგანს და როგორი ტრანსფორმაცია განიცადა მან დროთა განმავლობაში, ასევე როგორ ინტერპრეტირდება შრომა სხვადასხვა კულტურაში. ავტორი შრომისა და დასაქმების მიმართებას აანალიზებს ქრონოლოგიურ ჭრილში და რაც ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პერსპექტივიდან, როგორც დასაქმებულის ისე ორგანიზაციის.

მეორე თავში ავტორი აანალიზებს ადამ სმიტის შრომის დანაწილების თეორიას და მის დამოკიდებულებას შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში. ამავე თავში ავტორი შრომის პროცესის მარქსის ხედვასაც განიხილავს და აკეთებს შედარებას. ამავე თავშია განხილული მარქსის მიერ შრომის გაუცხოების ფენომენი და მისი ოთხი ფაზა. ქეისი თანამედროვე ქართული რეალობიდან „კურიერის შრომის შესახებ“ საინტერესოდ უკავშირებს ისტორიას და აწმყოს შრომასთან დაკავშირებული დამოკიდებულებების კონტექსტში.

მესამე თავი ეთმობა ფორდიზმის და პოსტ-ფორდიზმის ეპოქას. შრომის ორგანიზების ფორდის მოდელი განხილულია პროდუქტიულობისა და შემოსავლის გაზრდის, დასაქმებულთა სამუშაო პირობებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობის ჭრილში, ასევე ბაზარზე პროდუქციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც მრავალმხრიც წარმოაჩენს ფორდიზმის გავლენას სოციუმზე. ნეოფორდიზმი და სამუშაო დიზაინის ცვლილება - სამუშაოს გაღრმავება და გაფართოება, როგორც ჰუმანიზმის ზრდაზე მიმართული პროცესი, დასაქმებულთა მოტივაციასა და უნარების მრავალმხრივად განვითარებაზე მიმართული პროცესი. განხილულია წარმოების მართვაში ახალი მიდგომა „Just inTime” – შეკვეთის მიხედვით წარმოება, დასაწყობების ლიმიტირება და რაოდენობაზე ფოკუსის ხარისხზე ფოკუსით ჩანაცვლება. პოსტ-ფორდიზმის ფარგლებში განხილულია „მოქნილი სპეციალიზაციის“ მოდელი,

რომელიც მულტიფუნქციურ თანამშრომელს გულისხმობს და ჰუმანურობის სახელით ახალი ფორმის ექსპლუატაციას წარმოადგენს.

მეოთხე თავში განხილულია ისეთი ტერმინები და მათი ინტერპრეტაცია შრომით ურთიერთობებში, როგორიცაა ე.წ. დესკილინგი ანუ კვალიფიკაციისგან დაცლა,ბრევერმანის თეორია, აფსკილინგი - ბელის (Bell, 1976) თეორია პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ, სადაც მთავარი გმირი არის პროფესიონალი, განათლებული და საჭირო უნარებით აღჭურვილი ადამიანი. ასევე საუბარია შრომის ახალ ტიპზე, სადაც დანადგარებთან მუშაობა ჩანაცვლდა ადამიანებს შორის ინტერაქციით, საუბარია საოფისე სამუშაოსა და სერვის სექტორის განვითარებაზე. ავტორი განიხილავს, როგორც დესკილინგის ისე აფსკილინგის თეორიის კრიტიკულ მიდგომას. ამავე თავშია განხილული „სამუშაო ადგილების პოლარიზაციის“ ცნება და შრომით ბაზარზე სეგმენტაციის პროცესი. პოლარიზაციის ორი გამომწვევი ფაქტორია განხილული: გლობალიზაცია და სამუშაოს ავტომატიზაცია. პოლარიზაციის გავლენა დასაქმებულებსა და ეკონომიკაზე, ასევე არის აღწერილი და გაანალიზებული ავტორის მიერ.

მეხუთე თავში ავტორი განიხილავს და ადარებს ე.წ. ფორმალურ და არაფორმალურ შრომით მოდელებს, სტანდარტულ და არასტანდარტულ დასაქმებას, მასთან დაკავშირებულ საკითხებს, წარმოშობის მიზეზებსა და შედეგებს დასაქმებულთათვის. მეექვსე თავი ლოგიკურად აგრძელებს უფრო მეტად არასტანდარტულ დასაქმებასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ცნებას ე.წ. პრეკარულობას ანუ შრომით პრეკარიზაციას რაც არასტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას უკავშირდება. ეს მოვლენა განიხილება განსხვავებული ეკონომიკური სისტემის კონტექსტში და ასახავს დასაქმებულთა სოციალური დაცვის პირობების გაუარესებას. შრომითი კანონმდებლობის როლი შრომით ურთიერთობებში დამსაქმებლის ვალდებულებებთან მიმართებით განხილულია საქართველოს მაგალითით.

მეშვიდე თავში განხილულია სერვის ინდუსტრიაში ემოციური შრომის შესრულება და მასთან დაკავშირებული ფაქტორები. ემოციური შრომის კონსტრუქტის მორისისა და ფელდმანის დეფინიციის მიხედვით განსაზღვრავს ავტორი ემოციური შრომის განზომილებებს. ავტორი აღწერს ემოციური შრომის შესრულების ორ სტრატეგიას და იმ სავარაუდო შედეგებს რაც შეიძლება მოყვეს ემოციურ შრომას, როგორც დასამქებულისთვის, ისე ორგანიზაციისთვის, როგორც კლიენტთან თანამშრომლის ინტერაქციის შედეგს. ავტორი ცალკე გამოყოფს ჰარდტის აფექტური შრომის თეორიას, აფექტური შრომა და ემოციური შრომა ფაქტიურად სინონიმებია, რადგან ორივე შემთხვევაში დასაქმებულს უწევს საკუთარი ემოციების მართვის საფუძველზე კლიენტისთვის კონკრეტული ემოციების გამოხატვა, რათა კომპანიის მიზანი იყოს მიღწეული ანუ კლიენტი დატოვოს კმაყოფილი.

მერვე თავი ეძღვნება ციფრულ ეკონომიკას ანუ ახალი ტიპის სამუშაოს, ე.წ. ციფრულ შრომას. დიჯიტალიზაციის ეპოქაში, სოციალური ქსელის მუშაობის მაგალითზე არის გაანალიზებული უჩვეულო ურთიერთმიმართება კომპანიასა და კლიენტს შორის, სადაც

კლიენტი აქტიურია. ამ თავში ავტორი ასევე განიხილავს ციფრული მუშაობის ორ ფორმას: ერთი გულისხმობს ციფრული პროდუქტის შექმნას და გაყიდვას, მეორე კი აპლიკაციის საშუალებით ფიზიკურად შესასრულებელ სამუშაოსთან წვდომას. განხილულია ფრილანსერობის ფორმატით მუშაობის სპეციფიკა. პლათფორმის საშუალებით დასაქმებულთა გამოწვევები განხილულია საქართველოს მაგალითზე და შესამჩნევია შრომითი პირობების გაუარესება ტრადიციულ შრომით ურთიერთობებთან შედარებით, ავტონომიურობის სანაცვლოდ დასამქბულს არ აქვს სტატუსი, სოციალური დაცვის მხარდაჭერა, ფიზიკურ უსაფრთხოებაზე დამსაქმებლის მხრიდან ზრუნვის არ არსებობა, სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებით უსამართლობის განცდა.

მეცხრე თავი საოჯახო და აუნაზღაურებელ შრომას განიხილავს. ქალების მიერ საოჯახო საქმეების შესრულება, რომელიც აუნაზრაურებელი შრომაა და მასთან დაკავშირებული ფაქტორები, გენდერულ ჭრილში არის განხილული. ავტორს განხილული აქვს მარქსის მოსაზრება და თეორიები საოჯახო შრომასთან დაკავშირებით. გაანალიზებულია 21-ე საუკუნეში არსებული საოჯახო შრომის მოდელი და გენდერულ ჭრილში ანაზღაურებადი და არანაზღაურებადი სამუშაოს პროპორციული მიმართებები. დროის გამოყენებასთან დაკავშირებული კვლევის შედეგები აქვს მოტანილი ავტორს, რათა საქართველოში არსებული მდგომარეობა ასახოს და შეადაროს სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას. ავტორი სხვადასხვა სოციალური სტატუსის ჭრილშიც განიხილავს აუნაზღაურებელი შრომის წილს. აქვე განხილულია ე.წ. „დროითი სიღარიბის“ ცნება, რომელიც უკავშირდება დასვენებისა და გართობისთვის დროის უქონლობას.

ნაშრომის სტრუქტურა ლოგიკური თანმიმდევრობის პრონციპზეა აგებული, ასევე თითოეული თავის სტრუქტურული მოდელი ისე არის ორგანიზებული, რომ ხელი შეუწყოს სწავლების ეფექტურობას: იწყება ცნების განმარტებით და მრავალმხრივად განიხილავს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მოცემულობას საკითხთან მიმართებაში, შემაჯამებელი შეკითხვები ასრულებს შინაარსის კომპონენტს ყოველი თავის ბოლოს და ასევე მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.

მთლიანობაში ტექსტი აკადემიური ენისა და სტილის დაცვით არის შესრულებული, სასურველია უცხოენვანი ტერმინების ქართული შესატყვისები იყოს შემოთავაზებული. ასევე ტერმინი : საქონელი სასურველია იყოს ჩანაცვლებული სიტყვა - პროდუქტით.

ავტორი გასაგებად აყალიბებს იდეას, რომელიც თითოეულ თავში განხილულ საკითხს უკავშირდება, შესაბამისი არგუმენტებით წარმოაჩენს, როგორც დადებით ისე კრიტიკულ ასპექტებს ყოველი საკითხისთვის. ქართული პოპულაციიდან მაგალითები გაუადვილებს სტუდენტებს განხილული კონსტრუქტების პრაქტიკულად აღქმას.

ნაშრომის საერთო შეფასება დადებითია.

29.10.2024

European Sociological Association (ESA)
FMSH - Bureau P1-04
54, boulevard Raspail
75270 Paris Cedex 06
France
www.europeansociology.org
N° Siret 484 990 825 00024

ESA - FMSH, 54 boulevard Raspail, 75270 Paris Cedex 06, France

Prof. Ana Diakonidze
Tbilisi State University
Tbilisi State University
63, Chelidze street
0159 Tbilisi
Georgia

Paris, 11/Apr/2024

To Whom It May Concern

This is to confirm that **Prof. Ana Diakonidze** is welcome to participate in the **16th Conference of the European Sociological Association**, "Tension, Trust and Transformation", to be held in **Porto, Portugal from 27 - 30 August 2024**. The Conference will host hundreds of sessions by the ESA's Research Networks and Research Streams as well as Plenary, Semi-Plenary and Midday sessions. Additional information is available on the 16th ESA Conference website. Please note that conference registration fees, travel and accommodation expenses will not be supported by the conference organisers.

Prof. Ana Diakonidze has been author/co-author of the following accepted contribution(s):

Internalizing precariousness - experiences of Georgian platform workers
Author(s): Diakonidze, Ana
Presenting Author: Diakonidze, Ana
Submission Type / Conference Track: RS14 - Experiencing and Representing Precariousness: Emerging Labour Configurations and Worker Agency
Status: This contribution has been accepted for a regular, oral paper presentation at the conference.

We look forward to seeing Prof. Ana Diakonidze.

With kind regards

Prof. Lígia Ferro (President) on behalf of the Executive Committee
European Sociological Association (ESA), FMSH, 54 bd Raspail, F-75270 Paris Cedex 06

The European Sociological Association is a non-profit making association registered under the French Associations Law of 1901.
-- This document was issued **electronically** and is valid without original signature. --

European Sociological Association (ESA)
FMSH - Bureau P1-04
54, boulevard Raspail
75270 Paris Cedex 06
France
www.europeansociology.org
N° Siret 484 990 825 00024

ESA - FMSH, 54 boulevard Raspail, 75270 Paris Cedex 06, France

Prof. Ana Diakonidze
Tbilisi State University
Tbilisi State University
63, Chelidze street
0159 Tbilisi
Georgia

Paris, 30 August 2024

To Whom It May Concern

Dear Madam or Sir,

We confirm that **Prof. Ana Diakonidze** participated in the 16th Conference of the European Sociological Association, "Tension, Trust and Transformation", held in Porto, Portugal from 27 August – 30 August 2024.

Prof. Ana Diakonidze has been author/co-author of the following accepted contribution(s):

Internalizing precariousness - experiences of Georgian platform workers
Author(s): Diakonidze, Ana
Presenting Author: Diakonidze, Ana
Submission Type / Conference Track: RS14 - Experiencing and Representing Precariousness: Emerging Labour Configurations and Worker Agency
Status: This contribution has been accepted for a regular, oral paper presentation at the conference.

With best regards,

Prof. Lígia Ferro (President) on behalf of the Executive Committee
European Sociological Association (ESA), FMSH, 54 bd Raspail, F-75270 Paris Cedex 06

The European Sociological Association is a non-profit making association registered under the French Associations Law of 1901.
-- This document was issued **electronically** and is valid without original signature. --

ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში

1. **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა“** (დადგენილება # 57/2011, დანართი # 34)

ცვლილება: სასწავლო კურსის შეფასების სისტემის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის, „ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლები და პრაქტიკუმი“, შეფასების სისტემაში, შეიცვალა შეფასების ფორმები და ქულების გადანაწილება შემდეგნაირად:

- აქტივობა - 10 ქულა;
- პრაქტიკული დავალება - 15 ქულა;
- პრეზენტაცია - 20 ქულა;
- შუალედური გამოცდა - 25 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა.

ცვლილება: სასწავლო კურსებზე განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლები და პრაქტიკუმი“, დაემატოს მოწვეული ლექტორი იური მეჩითოვი;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „საზღვარგარეთის მედია“, დაემატოს ასოცირებული პროფესორი თინათინ მაჭარაშვილი;

ცვლილება: სასწავლო კურსის შინაარსის კორექტირება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „საზღვარგარეთის მედია“, განხორციელდა სასწავლო მასალის კორექტირება, თავებისა და გვერდების მითითებით;

ცვლილება: სასწავლო კურსების სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „ფოტოჟურნალისტიკის საფუძვლები და პრაქტიკუმი“, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „საზღვარგარეთის მედია“, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „სპორტული ჟურნალისტიკა“, გაზაფხულის სემესტრიდან, გადავიდეს შემოდგომის სემესტრში.

საფუძველი : საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართული რუსული კომპონენტებით), (დადგენილება # 57/2011, დანართი # 35)

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“, შეეცვალა სტატუსი და არჩევითის ნაცვლად, გახდა სავალდებულო;

ცვლილება: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მოდიფიცირება

ცვლილების აღწერა: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტებს დაემატა 10 კრედიტი, ვინაიდან სასწავლო კურსი „საბაკალავრო ნაშრომი“, გახდა სავალდებულო; შესაბამისად, არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტებს გამოაკლდა 10 კრედიტი, რამაც შეცვალა ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების (125 კრედიტი, ECTS) გადანაწილება შემდეგნაირად:

- 90 კრედიტი - სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 35 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსები სპეციალობის მიხედვით;

სტრუქტურის დანარჩენი ელემენტები დარჩა უცვლელი.

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „დოკუმენტური კინო, როგორც მასობრივი კომუნიკაციის მედიუმი“, მოწვეული ლექტორი თამთა თურმანიძე, შემოდგომის სემესტრიდან, გადატანილ იქნეს გაზაფხულის სემესტრში.

ცვლილება: სასწავლო კურსზე საკონტაქტო საათის დამატება
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „საზოგადოებრივი აზრი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები“ (5 კრედიტი, 15/15), ლექტორი, პროფესორი, მარინა მუსხელიშვილი, სალექციო საათებს დაემატოს კვირეული 1 საათი და გახდეს 30/15.

საფუძველი: საგანამანათლებლო პროგრამის განვითარება.

3. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: “საერთაშორისო ურთიერთობები“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 41)

ცვლილება: სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების კორექტირება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსების სილაბუსებში: „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები“,

„საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, განხორციელდა სწავლის შედეგების კორექტირება ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით;

ცვლილება: სასწავლო კურსების სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, ლექტორი ასოცირებული პროფესორი თ. თურმანიძე, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში;

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „ევროპის უსაფრთხოება და თანამედროვე გამოწვევები“, მოწვეული ლექტორი ანა ჩიტალაძე, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში;

ცვლილება: სასწავლო კურსზე განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, დაემატოს ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე.

საფუძველი : საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

4. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: “პოლიტიკის მეცნიერება“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 36)

ცვლილება: სასწავლო კურსზე, განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე „პოლიტიკური იდეოლოგიები“, დაემატოს მოწვეული ლექტორი ირაკლი მეგრელიშვილი.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა “ (დადგენილება #57/’2011, დანართი # 310)

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსის ამოღება

ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამიდან ამოღებულ იქნეს სასწავლო კურსი „ლიდერი და ორგანიზაცია“;

ცვლილება: საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსის დამატება

ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი „პოპულიზმი გლობალურ პერსპექტივაში“, მოწვეული ლექტორი, გიორგი გოგსაძე.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

6. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „სოციალური მუშაობა“ (დადგენილება #№ 57/2011, #59)

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში“, ლექტორი, ასოცირებული პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში;

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

7. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: “მედიის კვლევები“** (დადგენილება № 57/2011. დანართი N 45)

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის შეცვლა

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი, „მონაცემთა ვიზუალიზება და ინფოგრაფიკის შექმნა“, მოწვეული ლექტორი ელენა შევჩენკო, შემოდგომის სემესტრიდან, გადავიდეს გაზაფხულის სემესტრში

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ (დადგენილება № 57/2011, დანართი 65)

ცვლილება: სასწავლო კურსის გაუქმება

ცვლილების აღწერა: საგანამანათლებლო პროგრამიდან ამოღებულ იქნეს არჩევითი სასწავლო კურსი „ევროკავშირი, როგორც საერთაშორისო აქტორი“ ;

ცვლილება: სასწავლო კურსის დამატება და სემესტრის განსაზღვრა

ცვლილების აღწერა: საგანამანათლებლო პროგრამას დაემატოს არჩევითი სასწავლო კურსი „პოსტსაბჭოთა ქვყნების დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა“, ლექტორი, ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი, გაზაფხულის სემესტრი;

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

9. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ (დადგენილება № 57/2011, დანართი #295)**

ცვლილება: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსს, „პოლიტიკური ფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ დაემატოს მოწვეული ლექტორი ჯონ ნერი.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება.

10. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „ევრაზიისა და კავკასიის კვლევები“** , **(დადგენილება № 57/2011, დანართი #305)**

ცვლილება: სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სავალდებულო სასწავლო კურსს „ევროკავშირის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა“, ნაცვლად მიხეილ შავთვალაძისა, წაიკითხავს ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი.

ერთჯერადი ცვლილებები:

1. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა - „პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის“ სავალდებულო საგანი, „ პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია“ (მოწვეული ლექტორი ნიკა გიგაური) ერთჯერადად გადატანილ იქნეს გაზაფხულის სემესტრიდან, შემოდგომის სემესტრში.
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა - „მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფიის“ - ინგლისურენოვანი ინტენსიური კურსი „მიგრაციის კვლევები“, ლექტორი, კორვინუსის უნივერსიტეტის პროფესორი ატილა მელეგი, ერთჯერადად გადატანილ იქნეს შემოდგომის სემესტრიდან, გაზაფხულის სემესტრში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	chancellery@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	რექტორი: ჯაბა სამუშია, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	შოთა ფოთოლაშვილი, ტელ: 599 49 54 53, ელ-ფოსტა: shota.potolashvili@tsu.ge
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დეტალური წინაპირობები იხ.: www.tsu.ge

								სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი			**სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები**					**უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება**			**იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში ან უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი**	**თითოეულ პროგრამაზე ადგილების რაოდენობა**	**მიმართულებათაშორისი დარგების შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე ერთზე მეტი ტესტის ტიპის არჩევის შემთხვევაში, უსდ-ს მიერ კოეფიციენტების სამაგისტრო გამოცდისათვის მინიჭებისას პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა თითოეული ტესტის ტიპის მიხედვით**		
სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	**სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება/მიმართულებები**	**მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება**	**აკრედიტებულია თუ არა**	**დაფინანსება**	**სწავლების ენა**	**წლიური გადასახადი**	**სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა**	**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**	**სულ**	**წერითი ნაწილის გაზრდა**	**ანალიტიკური წერა**	**ლოგიკური მსჯელობა**	**რაოდენობრივი მსჯელობა**	**სულ**	**გამოცდა/გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში**	**გამოცდა უცხო ენაში**			**A ტიპის ტესტი**	**B ტიპის ტესტი**	**C ტიპის ტესტი**
								1	**2**	**3**											**1**	**2**	**3**
გენდერის კვლევა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	გენდერის კვლევის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**7**									100	გამოცდა სპეციალობაში - 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 30	ინგლისური ენა B2- 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა				
სოციოლოგია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში - 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში B2- 40		გამოცდა სპეციალობაში				

სოციალური მუშაობა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მუშაობის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში (ესსე) - 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობასა -40 და ინგლისურ ენაში B2 - 20		გამოცდა სპეციალობა ში				
მედიის კვლევები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მედიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 20, გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) -20	ინგლისური ენა B 2, 20.	გამოცდა სპეციალობა ში გასაუბრება სპეციალობა ში და გამოცდა ინგლისურ ენაში				
პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ინგლისური ქართული კომპონენტები თ	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში(ესსე) 40, (მინიმალური ზღვარი 51%), გასაუბრება სპეციალობაში 30, ინგლისური ენის გამოცდა (B2) 30.	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობა ში, ინგლისურ ენის გამოცდა				

პოლიტიკის მეცნიერება	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალური ზღვარი 51%) და გასაუბრება ინგლისურ ენაში (B2) 20.		გამოცდა სპეციალობაში				
პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%) და გასაუბრება სეციალობაში 20, ინგლისურ ენაში (B2) 30.	ინგლისური ენა B2. 30	გამოცდა სპეციალობაში				
მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	მეცნიერების მაგისტრი მედიის კვლევებში	აკრედიტებულია	ფინანსდება	ინგლისური	3200 (საქ. მოქალაქეებისთვის) 6400 (არა საქ. მოქალაქეებისთვის)	**10**									100	გამოცდა(ესსე ინგლისურ ენაზე) - 40. (მინიმალური ზღვარი 51%). გასაუბრება - 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B2. 40.	ინგლისური ენა B2. 40	გამოცდა(ესსე ინგლისურ ენაში) ინგლისური ენის გამოცდა				
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**20**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 20. გამოცდა ინგლისურ ენაში B2. 30	ინგლისური ენა B2 - 30	გამოცდა სპეციალობაში, ინგლისური ენის გამოცდა				

სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 80 (მინიმალურიო ზღვარი 51%) ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20.	ზეპირი გამოცდა ინგლისურ ენაში (B2) 20.	გამოცდა სპეციალობა ში				
ევრაზიისა და კავკასიის კვლევები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ევრაზიისა და კავკასიის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 50 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურ ენაში 50	ინგლისური ენა B2 - 50	გამოცდა სპეციალობა ში, ინგლისური ენის გამოცდა				
ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 40 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში 20 გასაუბრება ინგლისურ ენაში, B1.2 - 40		გამოცდა სპეციალობა ში გასაუბრება სპეციალობა სა და ინგლისურ ენაში				
კონფლიქტოლოგია	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	კონფლიქტოლოგ იის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**15**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%) გასაუბრება სპეციალობაში - 20 გასაუბრება უცხო ენაში (ინგლისური ენა B2) - 20		გამოცდა სპეციალობა ში გასაუბრება სპეციალობა ში				
ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	ჟურნალისტიკის მაგისტრი	აკრედიტებული	ფინანსდება	ქართული	2250	**10**									100	გამოცდა სპეციალობაში 60 (მინიმალური ზღვარი 51%), გამოცდა ინგლისურ ენაში 40	ინგლისური ენა B2, 40	გამოცდა სპეციალობა ში და გამოცდა ინგლისურ ენაში				